თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

შენობა - ნაგებობები - 5% წრფივი

საოფისე და კომპიუტერული აღჭურვილობა - 20% წრფივი

ავტოსატრანსპორტო საშუალებები 20% წრფივი;

ავეჯი და ინვენტარი 20% წრფივი

სხვა ძირითადი საშუალებები 20% წრფივი

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია 20% წრფივი

ბასს 16 ძირითადი საშუალებები და ბასს 38 არამატერიალური აქტივები ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად და განმარტავს ბასს 16-სა და ბასს 38-ში, რომ აქტივი შეიძლება გადაფასდეს

მთლიანი ან წმინდა საბალანსო ღირებულებაზე დაკვირვების მონაცემების საფუძველზე. გარდა ამისა, დარიცხული ცვეთა ან ამორტიზაცია არის სხვაობა აქტივის მთლიან და საბალანსო ღირებულებებს შორის. ცვლილებები ბასს 16-ში და ბასს 38-ში: ცვეთის და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება ცვლილება განმარტავს პრინციპს ბასს 16-ში და ბასს 38-ში, რომ შემოსავალი ასახავს ეკონომიკური სარგებელის მოდელს, რომელიც მიიღება საწარმოს საქმიანობიდან (რომლის ნაწილი არის აქტივი) და არა ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც გამოიყენება აქტივის გამოყენების საფუძველზე. შედეგად, შემოსავალზე დაფუძნებული მეთოდი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ძირითადი საშუალებების ჩამოსაწერად და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ მეტად შეზღუდულ გარემოებებში არამატერიალური აქტივების ჩამოსაწერად. ცვლილებები ძალაში შევა მომავალში წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2016 წლის 1 იანვარს ან შემდეგ, დაშვებულია ადრე მიღება. აღნიშნული ცვლილებები სავარაუდოდ გავლენას არ მოახდენს ჯგუფზე, იმ პირობით, რომ ჯგუფი არ გამოიყენებს შემოსავალზე დაფუძნებულ მეთოდს მისი არამიმდინარე აქტივების ჩამოწერასთან დაკავშირებით.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშდებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშდებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშდებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

გადასახადი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშდებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების

შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ქონებას, რომლებიც ადასტურებენ საზოგადოების აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ქონება კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ასევე დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა და არ არის არც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, საჭიროა ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ასახსნელად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლესადობის მიხედვით. აქტივები ძირითადად შეფასებულია პირვანდელი ღირებულებით.

1. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით. 2017 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშზე და სალაროში ერიცხება 159,402.78 ლარი.

ფულადი სახსრები	159,402.78	478,898.67
სალარო	2,540.75	2,479.01
ბანკი	156,862.03	476,419.66

2. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები შეფასებულია ნომინალური ღირებულებით. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები უმეტესწილად წარმოქმნილია წინასწარი გადახდებით ბიუჯეტიდან და გაწეული მომსახურების შედეგად. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები წარმოდგენილია მოკლევადიანი ფინანსური აქტივების და მოთხოვნების სახით. ფინანსური აქტივის მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მისი გაცვლის ღირებულება.

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების

წარმოშობის წლები. დებიტორული დავალიანება წინა წელთან შედარებით შემცირებულია 637,899.44 ლარით და შეადგენს 1,856,409,17 ლარს.

დასახელება	31-იანვარი 2017	31-იანვარი 2016
დაზღვევა	143 674,83	119 456,98
შპს ვარძია	360,00	360,00
შპს ლაერტონ თბილისი	260,00	260,00
თვითმართველი ერთეულის მნიციპალიტეტი	21 588,33	3 119,33
სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო	1,684,048.60	2 368 206,37
სსიპ ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	388,25	-
შპს ეი-ბი-სი ფარმაცია		
მიხეილ კკლაძე	200,00	200,00
შპს ქინაქინა	200,00	200,00
აგრო ინდუსტრილი კომპანია	-	360,00
ნათია გომიაშვილი	1 019,52	494,52
ჰიდრის სამშენებლო, მადნელის მოპოვების საწარმო და სავაჭრო საქართველოს ფილიალი შპს	72,00	72,00
შპს პლსი	126,20	1 046,20
შპს მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი	1 829,50	1 829,50
	169 718,63	2 495 604,90
სულ დებიტორული დავალიანება	1 856 409,17	2 494 308,61

3. სხვა მოთხოვნები

	31-იანვარი 2017	31-იანვარი 2016
მოთხოვნები - მივლინება	(2,496.00)	(1,856.50)
დარიცხული მოთხოვნები	2,784.12	1,392.06
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები - მომსახურება და იჯარა	6,960.34	6,960.34
სულ სხვა მოთხოვნები	7,248.34	6,495.90

4. მატერიალური მარაგები

მატერიალური მარაგები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშში წარმოდგენილია შეძენის ღირებულებით და დამზადების თვითღირებულებით. მატერიალური მარაგების

შეფასებისას, გამოყენებულია მარაგების აღრიცხვის საშუალო შეწონილი მეთოდი. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,092,035.60 ლარს.

	31-იანვარი 2017	31-იანვარი 2016
მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების სახარჯი მასალები	931,140.98	806,804.58
საკანცელარიო საქონელი	44,528.59	41,189.46
სამეურნეო საქონელი	11,024.27	5,780.00
საწვავი	105,341.76	73,965.14
სულ საქონელი	1,092,035.60	927,739.18

6, ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2015 წელი	1,733,567.70	17,694,680.23	4,725,177.84	540,507.38	163,000.84	24,856,933.99
კაპიტალში მიღება	53,890.40	5,318,844.67	1,305,449.97	77,597.25		6,755,782.29
შეძენა						-
გასხვისება	151,403.94	2,107,496.06	871,839.88	58,141.40		3,188,881.28
ჩამოწერა						-
მიმდინარე ცვეთის ხარჯი	-	727,481.94	492,833.76	62,008.72	20,234.51	1,302,558.93
დაგროვილი ცვეთის ხარჯი		1,593,841.93	1,142,724.27	175,643.99	61,828.27	2,974,038.46
31 დეკემბერი 2016 წელი	1,636,054.16	18,584,704.97	3,523,229.90	322,310.52	80,938.06	24,147,237.61
კაპიტალში მიღება	77,995.50	3,518,477.39	1,602,232.30	54,271.80		5,252,976.99
შეძენა					24,302.37	24,302.37
გასხვისება	28,515.00			4,658.40		33,173.40
ჩამოწერა			250,293.00			250,293.00
ცვეთის ხარჯი		1,105,159.13	797,605.12	74,384.77	21,048.09	1,998,197.11
31 დეკემბერი 2017 წელი	1,685,534.66	20,998,023.23	4,077,564.08	297,539.15	84,192.34	27,142,853.46

საზოგადოების ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების დადგენა ვერ ხერხდება, რადგან ისინი გადმოცემული იქნა სახელმწიფოს მიერ კაპიტალში შეტანის გზით. ოკუპირებული ტერიტორიიდან გადაადგილების შედეგად შვილობილ საწარმოები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ მათ საკუთრებაში არსებული ქონება და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაცია. რის გამოც ვერ დგინდება ქონების ღირებულება.

6. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები და პატენტები	პროგრ. უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2015 წელი		6,950.00	6,950.00
მიმდინარე ამორტიზაცია		792.67	792.67
დაგროვილი ამორტიზაცია		1,665.54	
31 დეკემბერი 2016 წელი		4,491.79	4,491.79
შეძენა		4,500.00	4,500.00
ამორტიზაცია		1,348.77	1,348.77
31 დეკემბერი 2017 წელი		7,643.02	7,643.02

7. ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით ერიცხება 1,178,704.79 ლარის კრედიტორული დავალიანება.

	31-იანვარი 2017	31-იანვარი 2016
კრედიტორული ვალდებულებები	201,974.89	228,155.04
გასაცემი ხელფასები/ვალდებულებები პერსონალისადმი	840,242.04	1,193,581.10
საბიუჯეტო ვალდებულებები	136,487.86	212,204.86
სულ ვალდებულებები	1,178,704.79	1,633,941.00

8. კაპიტალი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოების კაპიტალი შეადგენს 28,807,555 ლარს

კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
<u>ადრე წარმოდგენილი ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის</u>	<u>24,228,326</u>	<u>(585,365)</u>	<u>23,642,961</u>
დაკორექტირებული ნაშთი წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღისთვის	24,228,326	-	23,642,961
მოგება / (ზარალი)		(664,992)	(664,992)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	(664,992)	(664,992)
კაპიტალის გაზრდა	3,175,061		3,175,061
<u>ნაშთი 2016 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის</u>	<u>27,403,387</u>	<u>-</u>	<u>26,153,030</u>
მოგება / (ზარალი)		(2,219,289)	(2,219,289)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი)			-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-	(2,219,289)	(2,219,289)
კაპიტალის გაზრდა	4,872,074		4,872,074
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის რეალიზება		1,740	1,740
დივიდენდის გამოცხადება			-
სხვა			-
<u>ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის</u>	<u>32,275,461</u>	<u>1,740</u>	<u>28,807,555</u>

მოგება ზარალის ანგარიშგება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა ორგანიზაციის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

9, შემოსავალი

	შენიშვნა	2017	2016
წმინდა შემოსავლები	9	<u>8,734,858.69</u>	<u>11,121,526.86</u>
შემოსავალი 1 საკუთარი		5,601,569.47	8,001,758.22
შემოსავალი 2 გლობალი		1,349,388.00	1,384,063.20
შემოსავალი 3 სპეც. დაფინანსება		1,675,868.66	1,385,586.20
მიღებული შემოსავლების უკან დაბრუნება (შემოწმების შედეგები)		225,915.11	
ფასდათმობა/წუნდებული საქონელი		84,876.33	68,423.09
სხვა საოპერაციო შემოსავლები (სოფლის ექიმი)		176,280.00	175,998.33
შვილობილი საწარმოების შემოსავალი		242,544	242,544

შვილობილი საწარმოები ღებულობენ მიზნობრივ დაფინანსებას ბიუჯეტიდან, რომელიც გახარჯული უნდა იქნეს სამედიცინო მომსახურებაში, ხელფასებში და ოფისის შენახვის ხარჯებში. შვილობილი საწარმოების მიხედვით დაფინანსება მიიღეს შემდეგ ნაირად

- შპს ქარელის რაიონის სოფელ ავნევის – 42 984 ლარი
- შპს ერედვის ამბულატორია - 97,920 ლარი
- შპს ქსუისის ამბულატორია - 101,640 ლარი

ხარჯების აღიარება

ორგანიზაცია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი

ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

10. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

<u>რეალიზებული საქონლის თვითღირებულება</u>	11	<u>5,583,989.29</u>	<u>7,126,987.83</u>
რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება		5,399,775.00	6,945,482.48
მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების სახარჯი მასალები		935,586.07	936,105.98
სამედიცინო პერსონალის ხელფასი (დარიცხული)		4,429,045.98	5,980,198.50
სამედიცინო მომსახურების შესყიდვა		35,142.95	29,178.00
სოფლის ექიმი		176,280.00	175,998.33
ფასდათმობა/წუნდებული საქონელი		12,899.29	10,472.02

11. მიწოდების ხარჯები

	31-იანვარი 2017	31-იანვარი 2016
რეკლამა-მარკეტინგის ხარჯი	300.80	
შრომისა და საკომისიო გასაცემი ხელფასის ხარჯი	45,144.24	131,147.76
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	4,379.50	3,085.00
მიწოდების სხვა ხარჯი	562.00	900.00
სულ მიწოდების ხარჯები	50,386.54	135,132.76

12. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	31-იანვარი 2017	31-იანვარი 2016
ხელფასი	2,502,221.30	2,492,232.97
იჯარა	30,012.08	23,070.00
საოფისე ხარჯი	53,178.53	52,447.63
საკანცელარიო ხარჯი	41,189.46	44,528.59
კომუნალური გადასახადები	563,983.40	557,564.71
კომუნიკაციის ხარჯი	94,802.42	68,868.26
საწვავის ხარჯი	73,965.14	105,341.76
საკონსულტაციო ხარჯები/აუდიტი	2,893.00	6,400.00
რემონტის ხარჯი	114,399.22	147,031.40
დაზღვევის ხარჯი	-	757.00
საბანკო მომსახურების ხარჯი	2,749.88	2,507.87
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	32,328.00	36,386.00
სხვა საგადასახადო ხარჯები (დღგ, მოგების და საშ. გარდა)	1,740.00	1,402.00
უტილიზაცია/დეზინფექცია	40,316.30	87,444.24
არასაგადასახადო ჯარიმა	254,611.16	6,041.11
წარმომადგენლობითი ხარჯი	2,589.58	1,648.05
სხვა ხარჯი	24,052.40	28,961.07
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20,490.64	16,503.27
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	3,855,522.51	3,679,135.93

13. არასაოპერაციო შემოსავლები

	31-იანვარი 2017	31-იანვარი 2016
საპროცენტო შემოსავლები	27,071.46	36,371.07
საიჯარო შემოსავლები	44,996.80	51,903.77
დადებითი საკურსო სხვაობები	-	207.44
სხვა - განსაკუთრებული შემოსავლები	482,193.66	984,985.02
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	554,261.92	1,073,467.30

სხვა - განსაკუთრებული შემოსავლები უსასყიდლოდ გადმოცემული მედიკამენტები და სახარჯი მასალები

14. არასაოპერაციო ხარჯები

	31-იანვარი 2017	31-იანვარი 2016
უარყოფითი საკურსო სხვაობები	4.80	-
გაცემული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი-	882.17	109,565.73
სულ არასაოპერაციო ხარჯები	886.97	109,565.73

სხვა არასაოპერაციო ხარჯი- სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სახელმწიფოზე უსასყიდლოდ გადაცემა

პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მემფრე

2016 -2017 წლის დასაწყისში, საზოგადოებამ გააფორმა საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები რომელიც არ ექვემდებარება გაუქმებას. იჯარის აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო საზოგადოების საინვესტიციო ქონების ქირავნობაზე და მისი მოქმედების ვადა არის 1 წელი. იჯარის ყოველწლიური გადასახადი 2016 წელს შეადგენს 51,903 ლარს და 2017 წელს 44,997 ლარს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საზოგადოებამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. საზოგადოება პერიოდულად ამოწმებს

ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამოორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

შიდა კონტროლის სისტემის შესახებ

შიდა კონტროლის სისტემის შეფასება მოხდა უშუალოდ სამუშაოების მოცულობის განსაზღვრის მიზნით, რომელიც აუცილებელი იყო რათა გამოთქმულიყო მოსაზრება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების სიზუსტის შესახებ. აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაო არ ნიშნავს შიდა კონტროლის სისტემის სრულ და ყოვლისმომცველ შესწავლას ყველა არსებული სიტუაციის ან შეცდომის გამოვლენის მიზნით.

ორგანიზაციის და მისი შიდა კონტროლის მდგომარეობის შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება დაწესებულების ხელმძღვანელობას.

შიდა კონტროლის საიმედოობის შეფასებისას ყურადღება გამახვილებული იქნა ამ სისტემის უნარზე გააკონტროლოს:

- ბუღალტერიაში არსებული სამეურნეო ოპერაციების რეალურობა
- ასახული სამეურნეო ოპერაციების სისრულე
- აქტივებისა და ვალდებულებების ადეკვატური შეფასება და კლასიფიკაცია
- ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემების ადეკვატური შეჯამება და განზოგადოება

შიდა კონტროლის სისტემის საიმედოობის და კონტროლის გარემოს შესაფასებლად განხილული იქნა დაწესებულების სამეურნეო საქმიანობის შემდეგი მხარეები:

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა
- ანგარიშების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არეები, სადაც მაღალია ბუღალტრული ანგარიშგების შეცდომის რისკი
- იმ თანამშრომელთა უფლებამოსილებების და ვალდებულებების განაწილება, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ანგარიშგების შედგენაში
- სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრულ რეგისტრებში ასახვის თანმიმდევრობა და ამ რეგისტრების განზოგადების ფორმები და მეთოდები

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტორული შემოწმების შედეგებს, დაწესებულების შიდა კონტროლის სისტემა ფასდება დამაკმაყოფილებლად.

დაწესებულებას (ისევე როგორც საქართველოში მოქმედი კომპანიების უდიდეს უმრავლესობას) გააჩნია დოკუმენტის სახით გაწერილი სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც რეგლამენტირებულია აღრიცხვის ძირითადი პრინციპები, კომპიუტერული პროგრამების, დოკუმენტბრუნვის, თანამშრომელთა უფლებამოსილებების გადანაწილების, აქტივების დაცვის, ვალდებულებებისა და კაპიტალის მართვისა და სხვა კონტროლის პროცედურები.

არსებობს შრომითი კონტრაქტები და დირექტორის ბრძანებები, სადაც განსაზღვრულია დაქირავებულთა უფლება-მოვალეობები, რაც ნაწილობრივ ავსებს შიდა კონტროლის სისტემას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღრიცხულია რაოდენობრივად და თანხობრივად საშუალო-შეწონილი მეთოდით, რაც ფასს-ებით დასაშვებია და იძლევა რეალურ სურათს მათი თვითღირებულების ფორმირების, გადაადგილებისა და ხარჯებად აღიარების შესახებ. დაწესებულების ხელმძღვანელობის განმარტებით პერიოდულად განხორციელებულია სმფ-ების ინვენტარიზაციები.

ნებისმიერი ჩვენი გაკეთებული დასკვნა ეყრდნობა ჩატარებულ აუდიტს, რომელიც განხორციელდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კანონებისა და ინსტრუქციების მოთხოვნათა დაცვით და აუდიტის საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად.

შპს "აუდიტკონომიკსი"

დირექტორი

ალექსანდრე ალავერდაშვილი

აუდიტორი

გიორგი ჯიბლაძე

21.08.2018 წელი



მმართველობითი ანგარიშგება

ზოგადი ინფორმაცია

შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი” ჩამოყალიბდა შპს “იმედის” რეორგანიზაციის შედეგად, რის საფუძველსაც წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 სექტემბრის #1/1-791 ბრძანება. შ.პ.ს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ წესდება დამტკიცებულია საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 13 დეკემბრის #1/1-1243 ბრძანების თანახმად.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ოქტომბრის # 1830 განკარგულების, შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის” სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100% წილის მართვის უფლებით, პირდაპირი გადაცემის ფორმით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ”, საფუძველზე და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, წილის მართვის უფლება სამინისტროს გადაეცა უსასყიდლოთ 5 წლის ვადით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის ბრძანება # 01-3460 საფუძველზე შპს “რეგიონული ჯანდაცვის ცენტრს” შეერწყა შპს რეგიონალური სამედიცინო ცენტრი რის შედეგადაც შ.პ.ს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრს“ გაეზარდა საწესდებო კაპიტალი 4,969,360 ლარით, აღნიშნული თანხა მთლიანად გადარიცხულია შ.პ.ს „ალიანს მედი+“ - ის ანგარიშზე, თანახმად (2014 წლის 12 დეკემბრის თანხის გადარიცხვის შესახებ #2 ადმინისტრაციული ხელშეკრულება), შ.პ.ს „ალიანს მედი+“-ს, შ.პ.ს „სადაზღვეო კომპანია ჯი-პი-აი ჯგუფ“-სა და შ.პ.ს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრს“ შორი 2014 წლის 13 დეკემბერს დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად, წილის ნასყიდობის შესახებ.

საზოგადოების იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ივ ჯავახიშვილის ქუჩა # 51. საზოგადოების კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 28,807,555 ლარს.

საზოგადოების საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ამბოლატორიული და სტაციონალური სამედიცინო სერვისების განხორციელება.

საზოგადოებას 2014 წლის 23 მაისს გადაეცა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საწარმოების 100% წილი მმართველობაში რის შედეგადაც შ.პ.ს „რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი“ გახდა საზოგადოებების პარტნიორი.

- შპს ქარელის რაიონის სოფელ ავნევის ამბულატორია საიდენტიფიკაციო კოდი 240887448
- შპს ერედვის ამბულატორია საიდენტიფიკაციო კოდი 217888043
- შპს ქსუისის ამბულატორია საიდენტიფიკაციო კოდი 217888034

საქმიანობა და სტრატეგია

ჯანმრთელობის დაცვა სოციალური სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მისი განვითარება ნებისმიერი ხელისუფლების ზრუნვის ძირითადი საგანია. ცივილიზებულ საზოგადოებაში, ადამიანთა სოციალური მდგომარეობისა და მატერიალური უზრუნველყოფის დონის მიუხედავად, ჯანდაცვის მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. საქართველოში ჯანდაცვა ათწლეულების მანძილზე (მხედველობაში გვაქვს საბჭოთა პერიოდი) სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხორციელდებოდა და იგი პრაქტიკულად ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სოციალური სფეროს ყველა დარგი მძიმე პირობებში აღმოჩნდა. ეს სიტუაცია განსაკუთრებით აისახა ჯანდაცვის სფეროზე. მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის, სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებისა და სტრუქტურის არსებითი ცვლილების, დარგის სახელმწიფო დაფინანსების მკვეთრი დაქვეითების პირობებში ადამიანთა უმეტესობისათვის ჯანდაცვის მომსახურება თითქმის ხელმიუწვდომელი გახდა.

საზოგადოების განვითარების კონცეფცია წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის ხედვას, რომელშიც თავმოყრილია დარგის განვითარების საფუძვლები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებულ პრინციპებთან და ფასეულობებთან მიმართებაში. ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საზოგადოების პოლიტიკა ეფუძნება ისეთ ძირითად ფასეულობებს, როგორებიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლიანობა, რაც, სხვა მიმართულებებთან ერთად, მოიცავს სამედიცინო მომსახურების თანაბარი ხელმისაწვდომობის კუთხით უთანასწორობის აღმოფხვრას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უფლებას.

საზოგადოების მიზანი მოიცავს ჯანდაცვის სექტორის განვითარების ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა უნივერსალიზმი, მდგრადობა, ხარჯთ-ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობა და ჯანდაცვის მიზნებისათვის უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება.

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ჯანდაცვის ეკონომიკურ არგუმენტებს, რომელთა თანახმადაც, საზოგადოების ჯანმრთელობა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. გარდა ამისა, ჯანდაცვა თავად წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სექტორს დასაქმების, ახალი ტექნოლოგიების კვლევებისა და განვითარების, ასევე ზოგადად, ეკონომიკური აქტივობების თვალსაზრისით.

აღნიშნული ფასეულობების, პრინციპებისა და არგუმენტების საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე აღიარებული პოლიტიკური დეკლარაციები და სამოქმედო პლატფორმები, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. საზოგადოების საქმიანობა ეყრდნობა შემდეგ სამართლებრივ დოკუმენტებს: საქართველოს კანონები „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ და ამ კანონებიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებს: ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული პოლიტიკა და მისი განხორციელების სტრატეგია 2010-2020 წწ.; ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია „ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა“ - 2011-2015 წწ., „ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“ – 2015-2020 წ.

საზოგადოების მიზანია ჯანდაცვის სექტორში სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდა, მარეგულირებელი და საზედამხედველო მექანიზმების სრულყოფა. საზოგადოება განსაზღვრავს და დაარეგულირებს საზოგადოებრივი სახსრების ხარჯვის პრიორიტეტებს, ფინანსური რესურსების სწორი გადანაწილების გზით გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე.

ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საქმიანობების განხორციელებისას, საზოგადოება ექვემდებარება შემდეგ რისკებს:

- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	478,898.67			478,898.67
დებიტორული დავალიანება	2,494,308.61			2,494,308.61
სულ ფინანსური აქტივები	2,973,207.28	-	-	2,973,207.28
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი				-
კრედიტორული დავალიანება	1,633,941.00			1,633,941.00
გრძელვადიანი სესხები				-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,633,941.00	-	-	1,633,941.00
ლიკვიდურობის პოზიცია	1,339,266.28	-	-	1,339,266.28

ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	159,402.78			159,402.78
დებიტორული დავალიანება	1,856,409.17			1,856,409.17
სულ ფინანსური აქტივები	2,015,811.95	-	-	2,015,811.95
ფინანსური ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხი				-
კრედიტორული დავალიანება	1,178,704.79			1,178,704.79
გრძელვადიანი სესხები				-
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,178,704.79	-	-	1,178,704.79

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

სავალუტო რისკი

- უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, რადგან არ გააჩნია სავალუტო ოპერაციები. ოპერაციები ხორციელდება მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში ლარში.

შპს "აუდიტეკონომიქსი"

დირექტორი

ალექსანდრე ალავერდაშვილი

აუდიტორი

გიორგი ჯიბლაძე

21.08.2018 წელი

